# ხელშეკრულება №131
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 16 / ნოემბერი / 2018 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის - მამუკა შამილიშვილის სახით და მეორე მხრივ შპს „Modern Architectural Group“ შემდგომში - „მიმწოდებელი” წარმოდგენილი მისი დირექტორის იოსებ კუჭაშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

**1.1.** ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ბათუმის საბაშვო ბაღების გაერთიანების დაქვემდებარებაში არსებული, ქ. ბათუმში, შ. ინასარიძის ქ. N4ა-ში მდებარე მე-8 საბაშვო ბაღის, ვ. მაიაკოვსკის ქ. N3-ში მდებარე მე-18 საბაშვო ბაღის, გონიოს დასახლება პეტრე იბერის N1-ში მდებარე 29-ე საბაშვო ბაღისა და გ. ტაბიძის ქ. N14-ში მდებარე 31-ე საბაშვო ბაღის ნაწილობრივი რემონტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება **(CPV – 71300000; 71320000; 71324000)** (შემდგომში - „მომსახურება“);

**1.2** გაწეული მომსახურების ფასი განისაზღვრება მიწოდებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საერთო ღირებულების 1,65%-ით.

**1.3** საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მაქსიმალური ღირებულება განისაზღვრება დანართი N1-ით;

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

**2.1.** ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1617** (ათას ექვსას ჩვიდმეტი) ლარს.

**2.2.** ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

### 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

**3.1.** ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო;

**3.2.** ვალუტა: ეროვნული ვალუტა (ლარი);

**3.3.** ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან ერთიანად, გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

**3.4.** საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

**3.5.** თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა სრული სახელშეკრულებო თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ღირებულების ანაზღაურებაზე.

### 4. მიღება-ჩაბარების წესი

**4.1.** გაწეული მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით და დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 5. მომსახურების გაწევის ვადა

**5.1.** მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე;

### 6. ტექნიკური პირობები:

**6.1. გასაწევი მომსახურება:**

**6.1.1** საველე კვლევა-ძიება და კამერალური სამუშაოები;

ა) საპროექტო სამუშაოები;

ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა;
გ) საჭირო შემთხვევებში დამატებითი მომსახურების გაწევა:

**6.2. დავალების შინაარსი:**

შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის გაზრდისა და ღირებულების შემცირების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ყოველი კონკრეტული საპროექტო სამუშაოები შეასრულოს კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები) და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებით. რიგ შემთხვევებში დასაშვებია საბაზრო ფასების გამოყენების პრაქტიკაც;

ბ) პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მშენებლობაში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;

გ) პერიოდული შეკეთებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების და დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენისას პროექტების ღირებულება მიმწოდებელმა უნდა განსაზღვროს დასაბუთებული კალკულაციებით და ღირებულებებით;

დ) მიმწოდებელი პასუხისმგებელია ყველა საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე და ყველა საველე სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკაზე;

**6.3. მიმწოდებლის პასუხისმგებლობა:**

**6.3.1** მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე;

**6.4. კუთვნილება:**

**6.4.1.** ამ დავალებასთან დაკავშირებით მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიში, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში;

**6.4.2.** მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე;

**6.5. საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა:**

**6.5.1** მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 3 (სამი) ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი Excel-ის ფაილში. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით „Sylfaen", ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში, ამასთანავე, PDF ფორმატის თითოეული ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს;

**6.6 ნორმატიული დოკუმენტები:**

პროექტების ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატივებია:

- სნიპ II-2-80 = შენობა-ნაგებობების პროექტირების ანტისახანძრო ნორმები;
- სნიპ II-7-81 = სეისმურ რაიონებში მშენებლობა;
- სნიპ II-9-78 = მშენებლობისათვის საინჟინრო-საძიებო სამუშაოები, ძირითადი დებულებები;
- სნიპ 2-02.0I-83 = შენობა-ნაგებობების საფუძველი;
- სნიპ 2.03.0I-84 = ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები;
- სნიპ II-22-81 = ქვისა და არმირებული ქვის კონსტრუქციები;
- სნიპ II-23-81 = მეტალო-ფოლადის კონსტრუქციები;
- სნიპ II-25-80 = ხის კონსტრუქციები;
- სნიპ II-26-76 = სახურავები;
- სნიპ II-28-73 = სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა;
- სნიპ 2.04.01-85 = შენობის შიდა წყალ-კანალიზაციის სისტემა;
- სნიპ 2.04-02-84 = წყალმომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები;
- სნიპ II-32-74 = კანალიზაცია, გარე ქსელები და ნაგებობები;
- სნიპ II-64-80 = საბავშვო, სკოლამდელი დაწესებულებები;
- სნიპ 544-82 = შენობა-ნაგებობების ელექ. მომარაგების პროექტირების ინსტრუქცია;
- სამუშაოების სახეობების და კონსტრუქციული ელემენტების პროექტირებისას მიმწოდებელი ხელმძღვანელობს საქართველოში მიღებული შესაბამისი სხვა ნორმებით და სტანდარტებით.

**6.7 მიმწოდებლის პასუხისმგებლობა:**

ა) მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე;

**6.8 კუთვნილება:**

ა) ამ დავალებასთან დაკავშირებით მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიში, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში;

ბ) მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე;

**6.9 საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა:**

ა) მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 3 (სამი) ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი Excel-ის ფაილში. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით „Sylfaen", ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში, ამასთანავე, PDF ფორმატის თითოეული ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

**7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:**

7.1.1.ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.1.2. მომსახურების გაწევის დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.1.3. არ აითვისოს სრულად ხელშეკრულებით განსაზღვული მომსახურების სრული მოცულობა.

**7.2. შემსყიდველი ვალდებულია:**

7.2.1.მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.2.2.უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ჩაბარება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

**7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

7.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

**7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:**

7.4.1.დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.4.2. გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით.

## 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

**8.1** ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე განხორციელებული სამუშაოების ხარისხის კონტროლს.

**8.2** ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

**8.3** ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი - ჯაბა ცხადაძე;

**8.4** მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები . იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს , მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

**9.1** თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

**9.2** იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

**10.1** მიმწოდებლის მიერ ხელეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5% -ის ოდენობით.

**10.2** მიმწოდებლს, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;

**10.3** მიმწოდებლს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

**11.1** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

**11.2** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

**11.3** ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

**12.1** წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით.

**12.2** შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

**12.3** მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

## 13. დავების გადაწყვეტა

**13.1** ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. დაუძლეველი ძალა

**14.1.** მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი

ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

**14.2.** თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

**14.3.** თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

**15.1** წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია: 2018 წლის 16 ნოემბრიდან - 2019 წლის 31 იანვრამდე;

## 16. მხარეთ რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

**ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“**

მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N42

საიდენტიფიკაცო კოდი: 445 393 510

სახელმწიფო ხაზინა

TRESGE22

ა/ნ 740737005

---

**მამუკა შამილიშვილი**

**მიმწოდებლი:**

**შპს „Modern Architectural Group“**

იურ. მის: ქ. ბათუმი, ე. თაყაიშვილის ქN58

ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, დ. კლდიაშვილის ქN56

საიდენტიფიკაცო კოდი: 445 424 210

სს "პროკრედიტ ბანკი"

ბანკის კოდი: MIBGGE22

ა/ნ GE13PC 0033 6001 0004 9130

---

**იოსებ კუჭაშვილი**

## დანართი N 1 - ფასების ცხრილი

| მომსახურების დასახელება | სამუშაოს საორიენტაციო/ მაქსიმალური ღირებულება (ლარი) | მომმსახურების პროცენტული მაჩვენებელი (%) | მომსახურების საორიენტაციო/ მაქსიმალური ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|
| საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება | 98000 | 1,65% | 1617 |